პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 12 (1648) ○ ხუთშაბათი, 26 იანვარი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

კონკურსი ჩემპიონის სამკერდე ნიშანზე

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს კონკურსს საქართველოს ჩემპიონის სამკერდე ნიშანზე.

სამკერდე ნიშნის საერთო ფონზე უნდა იყოს სპორტის ცალკეულ სახეობათა ამსახველი ფიგურის გამოსახულება (აკრობატი, კალათბურთელი, მოკრივე, თავისუფალი, კლასიკური, ქართული და სამბოს მოჭიდავე, საგზატკეცილო და სატრეკო ველოსიპედისტი, წყალბურთელი, ფრენბურთელი, მხატვრული და სპორტული ტანმოვარჯიშე, აკადემიური და ბაიდარული ნიჩბოსანი, მოისინდე, ცხენბურთელი, მოციგურე, ცხენოსანი, მძლეოსანი, ლელობურთელი, მოთხილამურე, აფროსანი, მოცურავე. წყალში მხტომელი, ხუთჭიდელი, მსროლელი, მესტენდური, ჩოგბურთელი, მაგიდის ჩოგბურთელი, ძალოსანი, ხელბურთელი, მოფარიკავე, ფიგურულად მოსრიალე, ფეხბურთელი, ჰოკეისტი, მოჭადრაკე, მოშაშე).

საუკეთესო სამკერდე ნიშნისათვის დაწესებულია სამი ჯილდო. პირველი ჯილდო — 200 მან, მეორე ჯილდო — 100 მან. მესამე ჯილდო — 50 მან. კონკურსებზე ნიმუშების წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1 მარტი.

მასალები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით — თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4. საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სპორტულ ფედერაციათა განყოფილება.

ციგურებით დაიხაჯა ყინული

ბაკურიანი. 25 იანვარი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს აქ „დინამოს“ სათხილამურო ბაზის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა შეჯიბრებანი საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ ზამთრის სახეობებში. ჰოკეისტებს, ფიგურისტებს, მოთხილამურეებს მიესალმა საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სამსონაძე, რის შემდეგ მონაწილენი სახეობათა მიხედვით გაეგზავნენ შეჯიბრების ადგილებისაკენ. პირველი დღის პროგრამა მეტად მრავალფეროვანი იყო — ფიგურისტებმა, მოთხილამურეებმა, ჰოკეისტებმა სცადეს თავიანთი ძალები.

რესპუბლიკაში პირველი ოფიციალური შეჯიბრების მონაწილენი ფიგურულ სრიალში სავალდებულო პროგრამით გამოდიოდნენ. ბოგონათა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ი. არხანგელსკი, რომელმაც 46,2 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი მოიპოვა ლ. დოლიძემ, მესამე — მ. ცინცაბაძემ.

ვაუთა შეჯიბრება თავიდანვე ი. ჯაფარიძის აშკარა უპირატესობით წარიმართა და სავალდებულო პროგრამაში 57,9 ქულის დაგროვებით 8,4 ქულით გაასწრო მეორე ადგილზე მყოფ ზ. ალავიძეს, რომელსაც თავის მხრივ 0,2 ქულით ჩამორჩა თ. ხანიაშვილი — 49,3 ქულა.

საინტერესო იყო ქალ მოთხილამურეთა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში (1450-მეტრიან ტრასა, 35 კარი, სხვაობა სიმაღლეში 320 მ). ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა თბილისის I გუნდის წევრმა ლ. გოგოლაძემ, რომელმაც 1.42,1 წამში შეძლო ტრასის უშეცდომოდ გავლა. მისი თანაგუნდელები ქ. ჯეირანაშვილი — 1.58,9 და ვ. მასიუკი — 2.12.4 გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

ვაუთა შორის სპორტის ამ სახეობის სტარტზე (რომელიც კოხტა გორაზე იყო მოწყობილი) გამოვიდა 35 სპორტსმენი. აქაც უძლიერესის სახელი თბილისის I გუნდის წევრმა დაიმკვიდრა. გ. აბრამაშვილმა ტრასის გავლას მოანდომა 7,1 წამით ნაკლები, ვიდრე II და III ადგილის მფლობელებმა მესტიელმა ა. დადვანმა და ი. ჯანგობეგოვმა (ბორჯომი)—1.48,3.

ამ დღეს ქალთა ესტაფეტაში (3×5 კმ) პირველობა არავის დაუთმო ბორჯომის რაიონის ძლიერმა კოლექტივმა (ვ. გავა, ე. გავა, მ. ქურდოღლიანი) — 1:15.49. თბილისის I და ბათუმის გუნდები დაკმაყოფილდნენ მომდევნო ადგილებით. სამაგიეროდ ,თბილისელებმა თავი ისახელეს ვაუთა ესტაფეტაში (4×10 კმ-ზე). მათ პირველი ადგილი მოუტანა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივმა (შ. კობახიძე, ე. მორდვინოვი, გ. სანაკოევი, ჯ. წაქაძე) — 2:55,34, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მომდევნო ადგილთა მფლობელნი — ბორჯომისა და თბილისის II (საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) გუნდები.

საღამოს სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრი კვლავ საციგურაოს დაუბრუნდა. ამჯერად ბრძოლის ველზე ელოდნენ ჰოკეისტებს — პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილეებს. ამ სახეობაში შვიდმა (თბილისის I და II, ქუთაისის, ბათუმის, ახალქალაქის, ადიგენისა და დუშეთის) გუნდმა გამოთქვა ტურნირში მონაწილეობის სურვილი, ასპარეზობაში არ მონაწილეობს „პოტენციალურად № 1“ გუნდად მიჩნეული თბილისის ნაკრები, რომელიც ამჟამად ტალინში იცავს რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

ტურნირი გახსნეს ქუთაისისა და ადიგენის კოლექტივებმა. შეხვედრაში აშკარა იყო პირველთა უპირატესობა. ქუთაისელებმა მატჩი მოიგეს დიდი ანგარიშით — 9:2. ძლიერი გუნდი გამოიყვანა აჭარამაც, რომელმაც თბილისის II გუნდთან შეხვედრაში 9 მშრალი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

შეჯიბრება გრძელდება.

შ. ჯუღელი

8 ტურის შემდეგ

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი მეტად საინტერესო ფაზაში შედის. ბრძოლა ოთხეულში მოხვედრისათვის, დღითიდღე მწვავდება. დღეისათვის გროსმაისტერი სპასკი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არა აქვს დამარცხება.

8 ტურის შემდეგ სპასკი ლიდერობს 6 ქულით. მისი უკანასკნელი შეხვედრებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებას ბრონშტეინთან. ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან გელერი და პეტროსიანი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გელერმა ბოლო 5 თამაშიდან 4,5 ქულა მოაგროვა. პეტროსიანმა დიდი აღმავლობით ითამაშა სმისლოვთან და 32 სვლაზე პირველი დამარცხება მიაყენა მას. 5 ქულა აქვთ ავერბახს, კორჩნოისა და შტეინს. ახალგაზრდა ლვოველი ოსტატი შტეინი საყოველთაო ყურადღებას იპყრობს თავისი აგრესიული, კომბინაციური თამაშით. ბოლო სამ ტურში მან სამი გამარჯვება მოიპოვა. 4,5 ქულა აქვთ ბრონშტეინს, პოლუგაევსკისა და გუფელდს. ჯერჯერობით ეს ზემოჩამოთვლილი მოჭადრაკეები იბრძვიან „ოთხეულისათვის“.

უნდა აღინიშნოს ტაიმანოვის დიდი მარცხი. მას 8 თამაშიდან მხოლოდ 2 ქულა აქვს და გბთამაშების ცხრილში ბოლო ადგილებს ინაწილებს ტარასოვთან.

გუშინ გაიმართა IX ტური.

ჯილდო მოწინააღმდეგს

გასულ წელს პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა აქტივისტის“ სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.

ამ დღეებში პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოს პრეზიდიუმმა ამ ნიშნით დააჯილდოვა „ტრუდისა“ და „განთიადის“ აქტივისტთა პირველი ჯგუფი, რომელთა შორის არიან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ძალოსნობის სექციის მწვრთნელი შ. წერეთელი და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი, „განთიადის“ ფრენბურთის სექციის თავმჯდომარე ო. ანანიაშვილი.

პირველი კალენდარი

როგორც ცნობილია, წელს პირველად ეწყობა საკავშირო გათამაშება ჰოკეიში მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდებისათვის. ამ გათამაშებაში მონაწილეობენ: აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ლიტვის, ესტონეთისა და საქართველოს გუნდები. საქართველოს ჰოკეისტები ამჟამად იმყოფებიან ესტონეთში, სადაც იწყებენ გათამაშების პირველ ტურს.

ჰოკეის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა გათამაშების კალენდარი მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდებისათვის. საქართველოს ჰოკეისტები 29 და 30 იანვარს შეხვდებიან ესტონეთის გუნდს, 2 და 3 თებერვალს — ლიტვის, 6 და 7 თებერვალს — ბელორუსიის გუნდს, 16 და 17 თებერვალს — უკრაინის გუნდს.

ამის შემდეგ საქართველოს გუნდი დაბრუნდება შინ და თავის საციგურაოზე განაგრძობს განმეორებით შეხვედრებს ამავე გუნდებთან. 19 და 20 თებერვალს ჩვენი გუნდი შეხვდება ლიტველებს, 24 და 25 თებერვალს — ესტონელებს, 28 თებერვალსა და 1 მარტს — ბელორუსებს, ხოლო 3 და 4 მარტს — უკრაინელებს.

პრეზიდენტის დიდი ვერცხლის თასი

ლუსკორი — არის ასეთი ქალაქი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, რომელიც ცნობილია თავისი სპორტული ტრადიციებით. ამ ქალაქში ყოველი წლის 26 იანვარს სტარტი ეძლევა მრავალდღიან საერთაშორისო ველორბოლას — „ეგვიპტის ტურს“, რომლის ტრასა ნილოსის გაყოლებით კაირომდე გრძელდება.

პირველი ასეთი შეჯიბრება მოეწყო 1954 წელს. მაშინ პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ბელგიელი ვ. მენენი. გუნდურშიც მისმა თანაგუნდელებმა გაიმარჯვეს. შემდეგ სამ წელს ზედიზედ ინიციატივა ხელთ ეპყრათ ბულგარელ სპორტსმენებს, პირადში კი თანმიმდევრობით ფინიშზე პირველები იყვნენ: 1955 წელს — დანიელი ანდერსენი, 1956 წელს — ბულგარელი ხრისტოვი და 1957 წელს — ბალიცი (გდრ-დან). მომდევნო წელს როგორც პირადში, ისე გუნდურში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა (პირადში გაიმარჯვა ა. ოლიზარენკომ). ასეთივე შედეგი გაიმეორეს 1959-1960 წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტებმა (პირადი მოიგეს გ. ლეფერმა და კ. მიულერმა).

მიმდინარე წლის შეჯიბრებაში ტრასა დაყოფილია 12 ეტაპად და 1754 კილომეტრს უდრის. დღეს სტარტზე გამოვა შვიდი ქვეყნის: გდრ-ს, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჰოლანდიის, ლიბანის, საბერძნეთისა და მასპინძელთა კოლექტივები.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვერცხლის დიდი თასი.

მარკო პოლოს გზით

იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ოლიმპიური ჩირაღდანი ჩამოტანილ იქნას იმ გზით, რომლითაც მოგზაურობდა ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო.

ოლიმპიურ ჩირაღდანს ათენიდან ჩაიტანენ თვითმფრინავით რომში, იტალიიდან იგი გაივლის შვეიცარიის, ავსტრიის, უნგრეთის, რუმინეთის, თურქეთის, ინდოეთის, პაკისტანის, ჩინეთის, კორეის ტერიტორიას და ამის შემდეგ ჩავა იაპონიაში.

წარმატებები მეჯიგვექნება

XI სპარტაკიადაში მონაწილეობდა სამი ათასზე მეტი სტუდენტი-სპორტსმენი...

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი განვლილი წლის მანძილზე ფარიკაობის, კალათბურთის, ჭიდაობის, სპორტული ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის სექციებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი მწვრთნელები და მასწავლებლები: ტ. მესხი, დ. ქამუშაძე, ვ. ჩიქვილაძე, ნ. ბახუტაშვილი, ა. კონსტანტინოვი და სხვა მრავალი.

ამ მიღწევათა გვერდით ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებებიც გაგვაჩნია, რომლებზეც თვალი არ უნდა დავხუჭოთ. ცუდადაა განვითარებული სპორტის ის სახეობანი, რომლებიც უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებზე არ ვითარდება. ასეთ მრავალრიცხოვან კოლექტივს სულ ერთი ბილიკი მოგვცეს „დინამოს“ ზამთრის საცურაო აუზში და ისიც ღამის 11 საათიდან. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ცურვის ნორმალურად განვითარება შეუძლებელია. ცუდად ვითარდება ნიჩბოსნობაც. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ამ სახეობაში ძლიერი სპორტსმენები გვყვანან, ბაზის სიშორე და ტრანსპორტის უქონლობა ხშირად წამყვან სპორტსმენებსაც აბეზარებს, რომ არაფერი ვთქვათ სპორტის მოყვარულებზე, მასობრივობაზე ამ სახეობაში ლაპარაკიც ზედმეტია.

იმედია, უნივერსიტეტის სპორტული ბაზების რეკონსტრუქციის გეგმა მალე ხილულ ობიექტებად გადაიქცევა და მაშინ ჩვენი წარმატებებიც გაიზრდება.

კ. ზაუტაშვილი,

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.



★

სურათზე: ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედი.

★

აქ აშენდება სპორტული ქალაქი

...სპორტულ ბაზებზე დიდი გაცხოველებაა. ვეება პარკის ჩრდილოვან ხეივნებში ურიცხვი სპორტის მოყვარული ირევა. მათ შესაძლებლობა აქვთ ერთიმეორის მახლობლად განლაგებული სპორტული მოედნების მწვანე მინდვრებსა და საცურაო აუზის ცისფერ ბილიკებზე ულამაზეს სპორტულ სანახაობებს უყურონ...

სპორტულ ქალაქს, რომელიც მდინარე ვერის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებაზეა აგებული 12 ჰექტარ ფართობზე, მწვანე დეკორატიული სამოსი შვენის, შადრევნები სიცხით შეხუთულ ჰაერს აგრილებენ...

ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ პროექტია. იგი ითვალისწინებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაფართოებას. პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი სპორტული ბაზების მშენებლობას შეეხება. უახლოეს წლებში შეიქმნება სპორტული ქალაქი, რომელიც უნივერსიტეტის სპორტული კლუბის კუთვნილება იქნება. სპორტული ნაგებობებიდან აღსანიშნავია: 6 ათასი მაყურებლისათვის განკუთვნილი სტადიონი, ზამთრის საცურაო აუზი, სასროლო ტირი, ველო-მოტოტრეკი ტრიბუნებით. ცალკე უნდა აღინიშნოს ერთ მთლიან მოცულობაში გადაწყვეტილი სპორტული დარბაზების კომპლექსი, რომელიც კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნებისაგან შედგება.

ვინაიდან სპორტული ნაგებობანი დაბლობ ადგილას იქნება მოთავსებული, უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები ამ ბაზებს ნახევარკილომეტრიანი საბაგირო გზით დაუკავშირდება.

ამ შესანიშნავი პროექტის ავტორია სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორთა ჯგუფი — შ. კაჭკაჭიშვილი, გ. კვიტატიანი, ს. ბეჟანიშვილი, კ. ღიბაძე და ნ. მშველიძე. ჩვენი მეგობრული კოლექტივი ძალღონეს არ დაიშურებს, რომ რესპუბლიკის ცოდნის ტაძარს — უნივერსიტეტს აუშენოს საუკეთესო სპორტული ქალაქი.

მ. შავიშვილი,

არქიტექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში უნდა განაგრძობდნენ შემდგომ დოსტატებას ჩვენი უძლიერესი სპორტსმენები!

ჩვენი უნივერსიტეტი

ათეული წლების განმავლობაში ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ძალღონის დაუშურებლად, შეუპოვრად და დაუცხრომლად სჭედდა უნივერსიტეტის სპორტულ დიდებას, ცხარე სპორტულ ბრძოლებში აწრთობდა და შორს, ჩვენი რესპუბლიკის გარეთ გაჰქონდა იგი.

...ახლა, როცა თბილისში ზამთარია, უნივერსიტეტის ლამაზი ეზო თოთქოს გაძარცულს დაემსგავსა. მაგრამ ბაღის სწორ და ლამაზ ხეივნებში ცხოვრება სრულიადაც არ ჩამკვდარა. იგი უნივერსიტეტის მძლეოსნობის სექციის წევრებს დაუსაკუთრებიათ, რომლებიც დახურულ დარბაზს ღია ცისქვეშ ვარჯიშს ამჯობინებენ...

ასე ვარჯიშობდა უნივერსიტეტის მრავალი თაობა, ასე იკაუებდა იგი ჯანმრთელობას და ნანატრი გაზაფხულის დადგომამდე დროს დაუღალავი ვარჯიშით ამოკლებდა.

გინახავთ დიდი მდინარის სათავე? შეუმჩნევლად მიიკლაკნება უზარმაზარი მთების ძირში ჩაკარგული. შემდეგ იგი თანდათან განიერდება, დიდდება და დაბლობში გაწოლილს კალაპოტი აღარ ყოფნის. ასევე დგამდა უნივერსიტეტის სპორტიც თავის პირველ გაუბედავ ნაბიჯებს, ვიდრე იგი მძლავრ, მასობრივ მოძრაობად არ გადაიქცა...

სპორტის დიდმა ენთუზიასტმა, მგზნებარე მამულიშვილმა გიორგი ნიკოლაძემ ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში პირველი სპორტული სექციები ჩამოაყალიბა, რომელთა შორის წამყვანი მდგომარეობა ტანვარჯიშსა და ალპინიზმს ენიჭებოდა... არ იყო სავარჯიშო დარბაზი, ცოტა იყო სპორტული ინვენტარი, მაგრამ ახალგაზრდობის ენთუზიაზმმა და შეუპოვრობამ ყველაფერს აჯობა... საკუთარი ზურგით აჰქონდა პროფესორ ნიკოლაძეს ფიცრები მეორე სართულზე, სადაც ახლანდელი სააქტო დარბაზის ადგილზე სპორტული დარბაზის მოწყობა იყო განზრახული.

1923 წლის 28 აგვისტოს, უნივერსიტეტის 18 ალპინისტმა მყინვარწვერი დალაშქრა, რითაც საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს. ამ წარმატებით ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა პირველი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა მშობლიური უნივერსიტეტის სპორტულ გამარჯვებათა აქტივში...

იმ დაუვიწყარი ექსპედიციის დღეს მრავალი წელი გვაშორებს. ამ წლების განმავლობაში სპორტი უნივერსიტეტის სტუდენტობის ცხოვრების აუცილებელ ნაწილად გადაიქცა. შეუდარებლად გაიზარდა სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდობის რიცხვი, გაჩნდა ახალი სპორტული ბაზები. ყველაფერმა ამან უზრუნველყო ძლიერი და მეგობრული კოლექტივისათვის 1944 წელს სპორტული კლუბის საპატიო წოდების მინიჭება. მის პირველ საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სპორტის დიდი ენთუზიასტი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი...

დღეს უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი ფიზკულტურული არმია თავის რიგებში 2860 სპორტსმენს აერთიანებს და სპორტის 22 სახეობას არის დაუფლებული. ამ შესანიშნავ კოლექტივს ჰყავს 55 სპორტის ოსტატი, 155 პირველი, 307 მეორე და 635 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი...

ეს მშრალი ციფრებია. ამ ციფრებს უკან კი დგანან კუნთმაგარი, ენერგიული სპორტსმენები, რომლებიც ერთნაირად ძლიერები არიან სწავლასა და სპორტში.

უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“ რომის ოლიმპიური თამაშების დღეებში წერდა: „უნივერსიტეტის წარგზავნილებმა დალაშქრეს რომი“... ვ. რუბაშვილმა, გ. ჩიქვანაიამ, ლ. გოგოლაძემ იქაც გაუთქვეს სახელი უნივერსიტეტს. და განა მარტო ამით!.. თვრამეტ საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის გუნდები და ცალკეული სპორტსმენები. 16 გამარჯვება და მხოლოდ 2 დამარცხება! საკავშირო და რესპუბლიკურ ასპარეზებზე გამარჯვებებს ხომ თვლა არა აქვს...

ძნელია გამოარჩიო უნივერსიტეტის წამყვანი სპორტსმენებიდან რომელიმე მათგანი, მაგრამ ასეთ მრავალრიცხოვან კოლექტივში მუდამ არსებობს ავანგარდი, რომელსაც ბაძავენ და უსწორდებიან. დღეს ასეთები არიან: ნ. მაკალათია, მ. ნინოშვილი, ც. აბუაშვილი, დ. გვანცელაძე, ო. კანდელაკი, ა. გვიმრაძე, ლ. მძინარიშვილი და სხვები, რომელთა უმრავლესობა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში შედის.

* * *

...ბინდი ნელ-ნელა წვება. მძლეოსნები სვენებსვენებით მიყვებიან ბაღის ხეივანს. სალამოს ბურუსში მათი ფიგურები ფერმკრთალდებიან და იცრიცებიან.

უნივერსიტეტი ელექტრონის ნათურებს გაუჩირაღდნებია; ბნელში გაწოლილი იგი ჰგავს უზარმაზარ თეთრ გემს, რომელსაც სინათლეები აუნთია... ამ გემს მიჰყავდა უნივერსიტეტის სპორტსმენები. ჰელსინკში, მელბურნსა და რომში. ეს გემი წაიყვანს მათ ტოკიოშიც...

შ. ჰიაბრიშვილი

ლელო

მე-2 გვ.

№ 12 (1648)

აქტიური მონაწილეობისათვის

მე-17 ოლიმპიადისათვის სპორტსმენების მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა სიგელებით დააჯილდოვა ო. აბუაშვილი — („სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), ბ. პაიჭაძე („ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), ვ. კედია (პანსიონატი „სპორტის“ დირექტორი), კ. ზაუტაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის გამგე), რ. ყღენტი (თბილისის ს. შ. კიროვის სახელობის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე), ლ. ჩხეიძე (საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი).

მადლობა გამოეცხადათ: გ. ჩიკვაიძეს (საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), ბ. თავართქილაძეს (საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), ი. ფირალაშვილს (საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი), რ. ტრაპაიძეს (საქართველოს სპორტკავშირის უფროსი მწვრთნელი მძლეოსნობაში).

ზამთრის სუსხის მიუხედავად

თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შექმნილია ტურისტული სექცია, რომელშიც თითქმის ყველა მოსწავლეა გაერთიანებული. სექცია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა წლის ყოველ დროში.

გასულ წელს სექციამ მოაწყო სათხილამურო ლაშქრობა ბაკურიანი-ერევანი. ამას მოყვა ველოგადარბენა მარშრუტით თბილისი-ორჯონიკიძე-პიატიგორსკი. განსაკუთრებით საინტერესო იყო ტივებით ლაშქრობა ვარძიიდან კასპის ზღვამდე.

ტურისტულმა სექციამ გადაწყვიტა მოეწყო მესამე კატეგორიის სიძნელის სათხილამურო ლაშქრობა, რომელიც მიეძღვნებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. დამტკიცდა მარშრუტიც: ბაკურიანი-ასპინძა - ახალციხე-აბასთუმანი-მაიაკოვსკი-ქუთაისი-ცაგერი-ლენტეხი -ონი-ქვაისი-სტალინირი. მარშრუტი 16 დღეში უნდა დაგვემთავრებინა. სტარტი ავიღეთ 4 იანვარს. მარშრუტის გავლა გვიხდებოდა მძიმე პირობებში: ხან თხილამურებით, ხან ფეხით.

გზადაგზა გავეცანით ღირსშესანიშნაობებს; დავათვალიერეთ ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვ.

მასწავლებლებმა ა. იაცკევიჩმა და ლ. მხითარიანმა შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა, ხოლო რამდენიმე მონაწილემ — პირველი თანრიგის სპორტი. შემდეგ ჩვენი სექცია კვლავ გაუდგება ტურისტულ სასეირნოს გზას.

დ. ხორბალაძე,

ლაშქრობის მონაწილე, პირველთანრიგოსანი,

კ. ხანიაშვილი

გუმათის სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურულ კოლექტივში მრავალი სექცია მუშაობს. მათგან გამოირჩევა ფეხბურთის სექცია, რომელიც ხშირად აწყობს ამხანაგურ მატჩებს მეზობელ სკოლებთან.
სურათზე: სკოლა-ინტერნატის ფეხბურთელები ვარჯიშის დროს. ფოტო გ. ლოლომაძისა.

სკოლის კოლექტივში

ურეხის საშუალო სკოლაში ჩატარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა. პროგრამაში იყო სპორტის 5 სახეობა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგები მოიპოვეს VIII კლასის მოსწავლეებმა.

* * *

სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოაწყო ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით — ურეხი-ხელვაჩაური. ტურისტულ გადასვლაში მონაწილეობდა 84 მოსწავლე.

ვ. მურვანიძე,

ფიზალზრდის მასწავლებელი.

გრძელ მანძილებზე მორბენალთა წვრთნა მოსამზადებელ პერიოდში

ზაფხულის სეზონის დამთავრებისა და მცირე ხნის აქტიური დასვენების შემდეგ, გრძელ დისტანციებზე მორბენალი იწყებს მომავალი სეზონისათვის მზადებას. მოსამზადებელი ეტაპი ყველაზე ხანგრძლივია და დიდ როლს თამაშობს მძლეოსნის სრულწლიური წვრთნის სისტემაში.

მოსამზადებელი პერიოდის წვრთნაზე ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენის წარმატება მომავალ სეზონში. შეიძლება ითქვას, რომ სპორტსმენი, რომელიც სწორად არ გამოიყენებს მოსამზადებელ პერიოდს, ვერ მიაღწევს სასურველ წარმატებას.

ჩვენი გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სამხრეთ რაიონების კლიმატურ პირობებში მოსამზადებელი პერიოდი 5-6 თვეს გრძელდება — დეკემბრიდან მაისის პირველ რიცხვებამდე.

ზამთარში ვარჯიში რეკომენდებულია კვირაში 4-ჯერ. სპორტსმენმა მოსამზადებელ პერიოდში საერთო ფიზიკურ მომზადებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სპეციალურ სარბენ მომზადებას.

აღნიშნულ პერიოდში საერთო ფიზიკური მომზადების ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად (სპეციალური ძალის, სისწრაფის, საერთო და სპეციალური გამძლეობის) მძლეოსანი მთავარ ყურადღებას აქცევს ტექნიკის აღდგენასა და სრულყოფას, აგრეთვე ტაქტიკურ და ნებელობით მომზადებას, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი შედეგების ჩვენებაში.

ვარჯიში პირველ რიგში უნდა მრავალმხრივი იყოს. საჭიროა სპორტსმენს განვუვითაროთ გრძელ მანძილებზე რბენისათვის საჭირო აუცილებელი თვისებები. პირველ ხანებში მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება საერთო გამძლეობისა და სპეციალური ძალისშიერი მომზადების განვითარებაზე (ე. ი. მორბენალმა უნდა გაიმაგროს თავისი შინაგანი ორგანოები და ქვედა კიდურების კუნთთა ძალა). ამ დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს სისწრაფის ჩვევის გაუმჯობესებას და რბენის ტექნიკის სრულყოფას.

გაზაფხულის მოახლოებასთან, თებერვალ-მარტში და უფრო მოგვიანებითაც, მთავარი ყურადღება პირიქით, საჭიროა მიექცეს სპეციალური გამძლეობის განვითარებას, სპეციალური ძალის შემდგომ გაუმჯობესებას, სისწრაფეს, ნებელობით და ტაქტიკურ მომზადებას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სტაიერების წვრთნაში დიდ ეფექტს გვაძლევს მთავრობიანი ადგილების გამოყენება. იგი ხელს უწყობს ქვედა კიდურების კუნთების სპეციალურ ძალის განვითარებას, საერთო გამძლეობის განვითარებას და ნებელობითი ჩვევების განმტკიცებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გრძელ დისტანციებზე მაღალი და სტაბილური შედეგის მიღწევაში. ზემოჩამოთვლილ საშუალებათა გარდა, სპორტსმენის წვრთნაში გამოიყენება რბენა გადაბარულ ადგილებში, სველ მიწაზე ქარის წინააღმდეგ და სხვ. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ზამთრის პერიოდში წვრთნა უმთავრესად საჭიროა ხდებოდეს ღია ცისქვეშ.

საერთო გამძლეობის განვითარების მიზნით საჭიროა რბენა როგორც თანაბარი, ისე შენაცვლებითი სისწრაფით. ხანგრძივი რბენა წვრთნის დასაწყისში 30-40 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, რაც შემდეგ თანდათანობით, მეცადინეობიდან მეცადინეობამდე იზრდება 90 წუთამდე. ამას გარდა, შესაძლებელია 300-მეტრიან მანძილზე შენაცვლებითი რბენის გამოყენება 15-25-ჯერ ან 400-მეტრიან მანძილზე 15-20-ჯერ. სისწრაფის ჩვევების გაზრდის მიზნით გამოიყენება განმეორებითი და შენაცვლებითი რბენა სიჩქარის გაზრდით (დოზირება ასეთია: 60-150 მეტრზე 30-50 გარბენი, ან 200-250 მეტრზე 20-30 გარბენი). ზემოჩამოთვლილ საშუალებათა გარდა სისწრაფის ჩვევის განვითარებისას იხმარება აჩქარება, სირბილი სვლით, განმეორებითი რბენა 40-დან 150 მეტრზე. ყველა ეს ვარჯიში საჭიროა შესრულდეს სწრაფ და მაქსიმალურად სწრაფ ტემპში, ამასთან ტექნიკურად სწორად.

მოსამზადებელ პერიოდში სპორტსმენის წპეციალური გამძლეობა მუშავდება 300-1200-მეტრიან დისტანციაზე მრავალგზის განმეორებით და შენაცვლებითი რბენით (დოზირება ასეთია: ათჯერ 400 მ, 6-8-ჯერ — 600-800 მეტრი, 5-ჯერ — 1000 მეტრი, 4-5-ჯერ — 1200 მეტრი). ამას გარდა გამოიყენება შენაცვლებით რბენა 300-400-მეტრიან მანძილზე 10-დან 25-ჯერ, დასვენების ინტერვალის შემცირებით ნელ რბენაში 100 მეტრამდე. რბენის ყველა სახეობაში უკანასკნელი მეტრები სპორტსმენმა უნდა გაირბინოს მაღალი სისწრაფით. ეს იქნება ამავე დროს ვარჯიში ფინიშისათვის.

მოსამზადებელი პერიოდის დასასრულს განსაკუთრებით შეჯიბრებისათვის მზადების დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წვრთნის რბენით საშუალებებს, ამასთან საგრძნობლად იზრდება ძონაკვეთებზე რბენის ინტენსიობა. როგორც ცდებმა გვიჩვენა, ამისათვის საჭიროა სპეციალური რბენითი მზადება დავიწყოთ მოსამზადებელი პერიოდის წვრთნის პირველსავე დღეებში.

რბენითი სამუშაოები მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპზე წარმოადგენს შენაცვლებით რბენას მოკლე მანძილებზე 60-150 მ. იგი შესრულებულ უნდა იქნას 50-ჯერ, სისწრაფის გაზრდით მაქსიმალურ სისწრაფემდე $3/4$ ძალით, შენაცვლებითი რბენა 300 მეტრზე (15-25-ჯერ), 40-90-წუთიანი კროსი და ორ საათამდე რბენა მთავრობიან ადგილებში ბუნებრივ წინააღმდეგობათა გადალახვით, შეჯიბრებითი ელემენტების ჩართვით.

სპორტსმენთა ემოციონალურობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია განდიკაპისა და საშუალედო ფინიშებიანი რბენის მოწყობა, ლიდერებისა და სამეცადინო ადგილის ხშირი ცვლა და ა. შ.

ზემოჩამოთვლილ საშუალებათა გარდა წვრთნის მოცემულ ეტაპზე დიდი ადგილი ეთმობა ვარჯიშებს მთავრობიან ადგილებში და განმეორებით რბენას 400 მეტრიდან 1200-მეტრიან მონაკვეთამდე.

ვ. ვაშაკიძე,

ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი.

* * *

მოსამზადებელი პერიოდის გეგმა

ორშაბათი: დილით — სპეციალიზებული დაჭურვა, ნელი რბენა, საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები — 30-40 წუთი. **სამშაბათი:** დილით — სპეციალიზებული დაჭურვა — 30-40 წუთი. დღე — ნელი რბენა 1500-2500 მეტრზე. დასასრულს აჩქარებული რბენის ჩართვით 5-6-ჯერ 40-80 მეტრზე საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები გარკვეული რაოდენობით ძალაზე 25-30 წუთი. აჩქარებული რბენა მაღალი საწყისიდან ან სვლით 6-10-ჯერ 40-100 მეტრზე. სპეციალური ვარჯიშები რბენის ტექნიკის სრულყოფისათვის, ხტომები და ხტომისებური ვარჯიშები, რბენა ცვალებადი ტემპით 30-50-ჯერ 60-150 მეტრზე ან 20-30-ჯერ 200 მეტრზე, ინტერვალი ისეთივე — მანძილების ნელ ტემპში გარბენის შემდეგ, სპორტული თამაშები ან „ბრძოლა ბურთისათვის“, ნელი გარბენი მოდუნებითი ვარჯიშების ჩათვლით. **ოთხშაბათი:** დილით — სპეციალიზებული დაჭურვა — 30-40 წუთი. დღე — ნელი რბენა 1500-2500 მეტრზე დასასრულს აჩქარებული რბენის ჩართვით 5-6-ჯერ 40-80 მეტრზე. საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები ისე, როგორც სამშაბათს. აჩქარებული რბენა მაღალი საწყისიდან ან სვლით 6-10-ჯერ 40-100 მეტრზე, სპეციალური ვარჯიშები რბენის ტექნიკის სრულყოფისათვის, ხტომები და ხტომისებური ვარჯიშები, ნახტომები, გეზრბენი ადგილმდებარეობაზე 40-90 წუთი, ვარჯიშები ძალაზე: მძლეოსნური იარაღებისა და ქვების კვრა, ტყორცნები და გდებები, დატენილი ბურთები სხვადასხვა სიმძიმეებითა და 30-40 კგ შტანგით ვარჯიშები, ატაცი, აკვრა, ჩაჯდომები, ზნექები და სხვა, ნელი რბენა, ვარჯიშები მოდუნებაზე. **ხუთშაბათი:** დილით — სპეციალიზებული დაჭურვა 30-40 წუთი. **პარასკევი:** დილით — სპეციალიზებული დაჭურვა 30-40 წუთი. დღე — ნელი რბენა 1500-2500 მ. საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები — 25-30 წუთი. აჩქარებული რბენა 6-10-ჯერ 40-100 მეტრზე, სპეციალური ვარჯიშები რბენის ტექნიკის სრულყოფისათვის, ხტომები და ხტომისებური ვარჯიშები, ნახტომები, ნელი რბენა, ვარჯიშები მოდუნებაზე. **ხუთშაბათი:** დილით — სპეციალიზებული დაჭურვა 30-40 წუთი. **პარასკევი:** დილით — სპეციალიზებული დაჭურვა 30-40 წუთი. დღე — ნელი რბენა 1500-2500 მ. საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები — 25-30 წუთი. აჩქარებული რბენა 6-10-ჯერ 40-100 მეტრზე, სპეციალური ვარჯიშები რბენის ტექნიკის სრულყოფისათვის, ხტომები და ხტომისებური ვარჯიშები, ნახტომები, გეზრბენი ადგილმდებარეობაზე 40-90 წუთი, ვარჯიშები ძალაზე: მძლეოსნური იარაღებისა

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 12 (1648)

მ ს ო ფ ლ ი ო ს პ ი რ ვ ე ლ ნ ი ს ბ ე ჩ ე დ ი

ბუენოს-აირესი

1962 წელი

ხალხი მოითხოვს პასუხს მკვლელებისაგან

✦

პრესის მიმოხილვა

✦

მთელს ბელგიას მოედო გაფიცვის ტალღა. 16 იანვარს ლეჟე-შენეში, მიტინგის შემდეგ მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილონი გაემართნენ ქალაქის რატუშისაკენ. მაგრამ დემონსტრანტებს გზა გადაუღობა უანდარმებით სავსე ავტობუსმა. ქალაქის ქუჩები სისხლით მოირწყო. 6 მუშა დაიჭრა, რომელთა შორის იყო ბელგიის ექს-ჩემპიონი მჩატე წონის მოკრივეთა შორის ჟოზეფ ვუსემი.

ჟოზეფი მუშის ოჯახში დაიბადა. დილიდან გვიან საღამომდე მუშაობდა ბავშვი დაუღალავად, რათა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ტვირთი მშობლებისათვის. მხოლოდ 26 წლის ასაკში შეძლო მან პირველად ასვლა რინგზე და უკვე ორი წლის შემდეგ ბელგიის ჩემპიონობა მოიპოვა. მალე ჟ. ვუსემი იმდენად პოპულარული გახდა, რომ პროფესიონალებში გადავიდა და წარმატებით მოიარა ევროპის რინგები.

როცა ბელგიაში იფეთქა გაფიცვებმა, ჟოზეფი მოწინავეთა რიგებში ჩადგა. უანდარმთა ტყვიით მძიმედ დაჭრილი ვუსემი ბავერის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. დაობლდა ერთადერთი ვაჟი, რომელსაც 11 წელი სწორედ ამ დღეს შეუსრულდა. მშრომელთა საქმისათვის თავდადებული ადამიანის სიკვდილმა ფეხზე დააყენა ბრიუსელის, ლიეჟის, შარლერუას მშრომელები და სპორტის მოყვარულნი.

ბელგიის პარლამენტის სოციალისტმა სენატორებმა საგანგებო სხდომაზე წინადადება შეიტანეს ჟ. ვუსემის დასაფლავების დღე აღინიშნათ ერთწუთიანი გლოვით, მაგრამ კათოლიკე სენატორებმა განაცხადეს, რომ ამ წინადადებას დათანხმდებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვუსემის სიკვდილს დაუბრალებდნენ არა უანდარმერიას, არამედ ინციდენტის ინიციატორებს (ამ უკანასკნელში „ისინი ხალხს გულისხმობდნენ). პროტესტის ნიშნად სოციალისტმა სენატორებმა დატოვეს ზედა პალატა.

20 იანვარს ჟ. ვუსემის დასაფლავების დღეს შენეში დაკარდის ქუჩა № 37 სახლის ირგვლივ მთელ დღეს იდგა მუშათა პიკეტები, ისინი პატივს სცემდნენ უანდარმთა მსხვერპლს.

ჟ. ვუსემის სიკვდილმა მღელვარების ახალი ტალღა გამოიწვია, ხალხი მოითხოვს პასუხს მკვლელებისაგან.

ოსტატები ესტუმრნენ

დუშელ კომკავშირელთა ინიციატივით რაიონის კულტურის სახლში მოეწყო შეხვედრა რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებთან, ტრადიციულად ბევრმა — თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა ნ. ვასაძემ, გ. ჩექვანაიამ, ბ. ბალიანოშვილმა, ფეხბურთელები ს. კოტრიკაძე, გ. ჩოხელი, შ. იამანიძე, ტანმოვარჯიშე — რ. კაჭახიძე, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში ნ. გულიაევი და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი დ. ცომაია.

სტუმრებს მიესალმნენ დუშელი პიონერები, საკუთარი ლექსი წაიკითხა ი. ტუნტურიშვილმა. შემდეგ გვახარიამ, ჩიქვანაიამ და კოტრიკაძემ მასპინძლებს უამბეს რესპუბლიკის ფეხბურთელთა და წყალბურთელთა წარმატებებზე.

დასასრულ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა დ. პერტენავამ ქართველ წყალბურთელებს საკავშირო პირველობაზე II საპრიზო ადგილის მოპოვებისათვის გადასცა სიგელები.

გ. ღურბელაშვილი

სულ ახლახანს დამთავრდა არგენტინის ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც გამარჯვება მოიპოვა ბუენოს-აირესის ცნობილმა კლუბმა „ინდეპენდენტემ“.

ეს, ერთის შეხედვით უბრალო, ე. წ. რიგითი ინფორმაცია ბუენოს-აირესიდან სწრაფად გავრცელდა მთელს საფეხბურთო მსოფლიოში, მაგრამ საქმეში ჩახედულმა, გამოცდილმა ავტორიტეტებმა კარგად იციან, რომ არგენტინის ჩემპიონატი ფეხბურთში ეს არის არა უბრალო საინფორმაციო ცნობა, არამედ სამხრეთ ამერიკის ამ ეგზოტიკური ქვეყნის მნიშვნელოვანი მოვლენა, აქაური მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების ორგანული ნაწილი.

მართლაც, არგენტინის მთავრობის კაბინეტიდან რომ წავიდეს რომელიმე მინისტრი, ეს შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს, მაგრამ როცა აქაური გამოჩენილი ფეხბურთელი გადადის ერთი კლუბიდან მეორეში, ამაზე განუწყვეტლივ დავობენ და მსჯელობენ ყველგან: გაზეთებშიც და სტადიონებზეც, ტრამვაიშიც და იმ ვიწრო მოსახვევებშიც, რომლებითაც ასე სავსეა დედაქალაქის გარეუბნები.

აი, მაგალითად, „ინდეპენდენტემ“ შარშან გაზაფხულზე იტალიაში გაგზავნა საგანგებო ფინანსური რწმუნებით აღჭურვილი ემისარი, რომელსაც რადაც არ უნდა დასჯდომოდა უკანვე უნდა გამოესყიდა ბრწყინვალე არგენტინელი ფორვარდი ერნესტო გრილიო. მოლაპარაკება „მილანთან“, სადაც თამაშობდა გრილიო, კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მხარეები ბოლოს მაინც შეთანხმდნენ და გრილიო დაბრუნდა სამშობლოში.

არგენტინელი ფეხბურთის მოყვარულთათვის ეს დიდი მოვლენა იყო და როცა „ინდეპენდენტემ“ გრილიოს წყალობით მოიგო პირველი ადგილი, ეს ფეხბურთელი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და გავლენიან ადამიანად იქცა ამ ქვეყანაში.

არგენტინულ ფეხბურთზე ხშირად წერენ საარაკო ამბებს: რომ სათამაშო მინდვრები აქ ტრიბუნებიდან გამოყოფილია წყლიანი ორმოებით, მავთულხლართებით, რომ დიდი მატჩების დროს სტადიონებზე სისტემატურად მორიგეობენ პოლიციელთა და მეხანძრეთა გაძლიერებული რაზმები.

ყველაფერი ეს სრული სიმართლეა. განვლილი ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში „ინდეპენდენტესა“ და „ბოკა ხუნიორესს“ შორის სტადიონზე მოხდა სკანდალი, რომელმაც ყოველისმნახველი არგენტინის საფეხბურთო ფედერაციაც კი შეაშფოთა და აიძულა საგანგებო ზომები მიეღო. საქმე იმაშია, რომ ე. გრილიო იტალიაში გამგზავრებამდე თამაშობდა „ბოკა ხუნიორესში“, ხოლო დაბრუნებისას თავი ამოჰყო „მტრის ბანაკში“ — „ინდეპენდენტეში“ და ხელი შეუწყო მის წარმატებას. საბრძოლო მოქმედებანი დაიწყო „ბოკა ხუნიორესის“ პრეზიდენტის მილიონერ არმანდოს კაბინეტში და გაგრძელდა მატჩის დროს მინდორზე. მეეცით არგენტინელ გულშემატკივარს სულ უმნიშვნელო სბაბიც კი და იგი წამსვე ატეხს ჩხუბს ტრიბუნებზე. ამიტომ მაყურებლები იოლად წამოეგენ პროვოკაციაზე და სტადიონზე ატყდა გაუგონარი მუშტი-კრივი. არმანდომ დაქირავებული ხალხი მიუსია მოწინააღმდეგე გუნდს, მსაჯს და პოლიციელებსაც კი, რის ვაივაგლახით მოხერხდა წესრიგის დამყარება, დააპატიმრეს და დასაჯეს ასობით მაყურებელი, ხოლო მატჩი დამთავრდა შეიარაღებული ძალების გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ.

აღწერილი ამბავი არც პირველია არგენტინის ფეხბურთის ისტორიაში და, ალბათ, არც უკანასკნელი. მაგრამ ეს თავშეუკავებელი და ზედმეტად ექსპანსიური სამხრეთელი ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთ კლუბებში საოცარ სკანდალებს უწყობენ მეპატრონეებს, ამჟამად წარმოუდგენელი გულმოდგინებით ვარჯიშობენ არგენტინის ეროვნულ ნაკრებში. ვარჯიშობენ ისე, რომ მათი დისციპლინიანობა, რეჟიმი, ურთიერთპატივისცემა და შრომისუნარიანობა საყოველთაო განცვიფრებას იწვევს.

რაშია საქმე? რამ გამოასწორა ასე უცბათ ხალხი, რომელსაც არაფერი სწამს ამ ქვეყანაზე ბურთისა და თავისი ვარსკვლავის გარდა?

საქმე იმაშია, რომ არგენტინა ემზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის. ემზადება ისე, როგორც არასოდეს, ემზადება როგორც წმინდა ეროვნული პრესტიჟის დაცვის საკითხისათვის.

სამხრეთ ამერიკას თავისი, საკუთარი საფეხბურთო იერარქია



გააჩნდა ყოველთვის და არგენტინა, რომელსაც არასოდეს არ მოუგია მსოფლიო ჩემპიონობა, სავსებით კმაყოფილი იყო თავის კონტინენტზე მოპოვებული ტიტულით, მაგრამ 1958 წლის მსოფლიო პირველობაზე განცდილმა კატასტროფამ, აგრეთვე უახლოესი მეზობლების — ბრაზილიელების ტრიუმფმა არგენტინელებს განუკურნებელი ტრავმა მიაყენა და მათ ახლა კატეგორიულად აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ საწადელს და ოქროს ქალღმერთის თასს.

ამ დიდ სამზადისში სრული სერიოზულობით ჩაებნენ პირველ ყოვლისა, თვით ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრების თვითეულ წვრთნას მთელ თავიანთ მაქსიმუმს აქსოვენ და არც ძალებს იშურებენ.

არგენტინელებს არ ავიწყდებათ განვლილი მწარე გაკვეთილი, როცა მათ დაუფიქრებლად, ფუქსავატურად გაყიდეს თავიანთი შეუდარებელი ფეხბურთელები, მათ შორის თავდამსხმელი ომარ სივორიც და უკვე შვეიცარიაში მყოფ გუნდს რეაქტიული თვითმფრინავით ჩამოსდიოდა მაშველი ძალა გადამწყვეტი მატჩების წინა დღეს. ახლა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ გამოსცა მკაცრი კანონი, რომლის ძალითაც ნაკრების ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ დატოვებს სამშობლოს. მართალია, ეს კანონი ძალაშია მსოფლიო ჩემპიონატის VII გათამაშების დამთავრებამდე, მაგრამ არგენტინელებს ახლა სწორედ ეს გათამაშება აინტერესებთ.

ყოფილი მწვრთნელის, განდევნილი გ. სტაბილეს ნაცვლად არგენტინის ეროვნულ ნაკრებს მომავალი ბრძოლებისათვის „მზადებს „ტრიუმვირატი“ შემდეგი შემადგენლობით: დელა ტორე, სპინეტი, ბარეირო. როგორც ცნობილია ამ გუნდმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა და გაინაღდა ადგილი ჩილეში 16 ფინალისტს შორის. ფეხბურთის ფედერაციამ ამას წინათ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არგენტინის ნაკრები 1961 წლის ზაფხულში დიდ ტურნეს ჩაატარებს ევროპაში, შეხვდება აქაურ უძლიერეს საკლუბო და ნაკრებ გუნდებს.

არგენტინის ნაკრებში ამჟამად იმყოფებიან გრიფი, მურუა, კაპი, გრილიო, როდრიგასი, მაურინო, ლომბარდო, პიცუტი, ბელენი, ნარდელო და სხვანი. საწვრთნელ ბაზაზე, სადაც გუნდი ემზადება, მათთვის გამოკიდულია წარწერა: „არგენტინა ემზადება!“

რ. ქორიძე

სურათზე: ესაა გამოჩენილი არგენტინელი ვირტუოზი ომარ სივორი, რომელიც 1957 წელს იყიდა იტალიის „იუვენტუსმა“.

27 იანვარი — 3 თებერვალი
განათლების სამინისტროს ბავშვთა ტანვარჯიშული სკოლის
დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7)
საკავშირო შეჯიბრება
ხელბურთში
დასაწყისი 10 და 18 საათზე.

საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირველობა
კალათბურთი
„დინამო“ (თბილისი)-სკი (თბილისი)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.
28 იანვარი
3. ი. ლენინის სახ. სპორტული დარბაზი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“,
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

1 2 3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03823